მომსახურების შესყიდვების ხელშეკრულება N72

ქ. წალენჯიხა

6 ივნისი 2019 წ.

ერთი მხრივ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის ბესიკ ფარცვანიას სახით და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი „ მერაბ გაბედავა “ (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ მიმწოდებელი), ორივე ერთად წოდებული როგორც _ მხარეები, „ სახელმწიფო შსყიდვების შესახებ “ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „ გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის “ მოთხოვნათა გათვალისწინებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ ხელშეკრულება) შმდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სახსრებით *(მერიის სარეზევრო ფონდი)* შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1 (ერთი) მგლის ინდივიდის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების მომსახურეობის (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ მომსახურეობა) შესყიდვა *(CPV კოდი 77600000 _ ნადირობასთან დაკავშირებული მომსახურეობები).*

1.2. მიმწოდებელი ვალდებულებას კისრულობს გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურეობა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხოლო შემსყიდველი ვალდებულებას კისრულობს აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურეობის ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

ერთი ინდივიდი მგლის ბუნებიდან ამოღების ღირებულება შეადგენს 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარს, სულ 1 (ერთი) მგლის ინდივიდის რაოდენობის რეგულირების ღონისძიებების განხორციელების მომსახურეობის ღირებულება, მომსახურეობის სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით შეადგენს *450 (ოთხასორმოცდაათი) ლარს* (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ ხელშეკრულების ღირებულება).

3. **მომსახურეობის გაწევის პირობები**

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა გაწეული უნდა იქნეს 2019 წლის 29 ნოემბრამდე.

3.2. მგლისა და ტურის ინდივიდების რაოდენობის რეგულირების ღონისძიება, მისი ბუნებიდან ამოღებით უნდა განხორციელდეს ჩასაფრების წესით, ისეთი ხერხებით, რომლებიც გამორიცხავენ სხვა სახეობის შენარჩუნებას.

4. **მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურეობა ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. ხელშეკრულებით გათვალიწინებული მომსახურეობის მიღებას ახორციელებენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც გაწეული მომსახურეობის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

5. **ანგარიშსწორების ფორმა და წესი**

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უანღდო ანგარიშსწორების წესით, თანხის გადარიცხვის ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

5.2. ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს მომსახურეობის დასრულების შესახებ შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1. შემსყიდველი ვალდებულია

6.1.1. უზრუნველყოს გაწეული მომსახურეობის მიღბა და შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისთვის, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.2.1. მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურეობის გაწევა, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და განსაზღვრულ ვადაში.

6.2.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.2.3. მიმწოდებლისგან მოითხოვოს გაწეული მომსახურეობის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.3.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურეობა.

6.3.2. დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს იმ მოსალოდნელ მოვლენებთან და გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მომსახურეობის გაწევაზე.

6.3.3. დაუყონებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემსლელ დაბრკოლებათა შესახებ.

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.4.1. შემსყიდველისგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულადდა დროულად შესრულება.

6.4.2. მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის განსახორციელებლად ყველა საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მიწოდება.

7. უფლებების გადაცემა

7.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება - მოვალეობანი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ, ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 298-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 298-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შტანა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა არქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. თურაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შატყობინოს მეორემ ხარესშესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

10. შეტყობინება

10.1 ნებისმიერი შეტყობინება , რომელსაც ერთი მხარე , ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, მეორე მხარის, ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

10.2 შეტყობინება შედის ძალაში, ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამთარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო, ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე, დაუყონებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანზმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (პასუხისმგებლობა)

12.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე, ასევე პასუხისმგებელია მომსახურეობის გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში უსაფრთხოების დაცვაზე. უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში,

შემსყიდველისათვის ან მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

12.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მგლის ინდივიდების გარემოდანამოღების წესების დაცვაზე და ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, შემსყიდველს ან მესამე პირს მიადგება, შესაბამისი წესების დარღვევის შედეგად.

12.3. შემსყიდველი არ არის პასუხისმგებელი იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც მომსახურების გაწევის დროს მიმწოდებელს წარმოეშობა მესამე პირ (ებ) ის წინაშე.

12.4. პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არა არის გათვალისწინებული ამ ხელშკრულებაში , განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

13.1.1. თუ მიმწოდებებლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეუძლია შეასრულოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

13.1.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

13.1.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოიკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

13.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 3 (სამი) დღით ადრე მაინც, ამასთან უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

13.4. ამ მუხლის 13.1 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურეობის ღირებულება.

13.5. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდევულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შმსყიდველისა ან/და მომწოდებელის შეცდომებდა და დაუდევრობასთან ან/და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით,

ეპიდემიით, კარანტინით ტვირთის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

14.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

14.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

14.6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შთანხმება.

14.7. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს ულება აქვთ შეწყვიტონხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

15. დავების გადაწყვეტის წესი.

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილ დავებს ან აზრთა სხვადასახაობა შესაძლოა გადაწყვეტილი იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შსაბამისად.

16. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

16.1. ხელშეკრულების კონტროლის, გასაწევი ან გაწეული მომსახურეობის მოცულობის, ხაროსხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისა და მიღება- ჩაბარები აქტ(ებ)ის გაფორმებისა და ხელშეკრულების პირობების შსაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირების საკითხებში მიმწოდებლელთან ითანამშრომლებს შემსყიდველის მხრიდან ზედამხედველობის სამსახური.

16.2. ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

16.3. ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს გაწეული ან/და გასაწევი მომსახურეობის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების კონტროლი.

16.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

16.5. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურეობის განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშექყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

შემსყიდველი
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია
წალენჯიხა სალიას ქ. N 5
ს/კ 242739248

ხაზინის ერთიანი ანგარიში
ტ. 571 17 00 17

მუნიციპალიტეტის მერი
ზესიკ ფარცვანია

TSALENJIKHA MUNICIPALITY

Digitally signed by TSALENJIKHA MUNICIPALITY
DN: cn=TSALENJIKHA MUNICIPALITY, 2.5.4.97=NTRGE-242739248, o=•••••••••••••••••••, c=GE
Date: 2019.06.07 12:59:25 +04'00'

მიმწოდებელი:
ფ/პ მერაბ გაბედავა
მის: ზუგდიდი. კორცხელი. როგავას 12
პირადი ნომ: 19001026087
ანგ. ნომ:GE55BG0000000191045200
ს/კ: BAGAGE22
ტ. 558 19 59 82

ფ/პ მერაბ გაბედავა